

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 სექტემბრის №01-06/16 მორიგი
სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. „ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული
ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო
ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა
და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

2. „, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის,
ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის 2018 წლის
მიზნობრივი პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა
განყოფილების უფროსი მამია გვარიშვილი
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე

3. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა
მახუნცეთში მდებარე (ს/კ 21.01.37.341) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 6628.00
კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე დამაგრებული 4564.39 კვ.მ. შენობა-ნაგებობების ფაქტიური
მფლობელებისთვის საცხოვრებელ ბინებად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისათვის გასაგზავნი
მიმართვის ტექსტის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: საკრებულოს ფრაქცია
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს
თავმჯდომარე ვაჟა ბოლქვაძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
2018 წლის -- სექტემბერი
დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106¹-ე და 106⁵-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე -ამირან დევამე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2018 წლის 19 ოქტომბერი.

4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2018 წლის 26 ოქტომბერი.

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.ge).

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ც ნ ო ბ ა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე -ამირან დევაძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2018 წლის 18 ოქტომბრის დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2018 წლის 19 ოქტომბრის დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2018 წლის 26 ოქტომბერი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №--

2018 წლის -- სექტემბერი
დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 03 მაისის №6 დადგენილებით (www.matsne.gov.ge 11.05.2016 წ. სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.134.016193) დამტკიცებულ რეგლამენტში შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილება:

1. რეგლამენტის 117-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 117. პეტიცია

1. პეტიციის წარდგენის უფლება აქვთ შემდეგ სუბიექტებს:

- ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს;
- ბ) დასახლების საერთო კრებას.

2. საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, საერთო კრების სახელით პეტიციის წარდგენას უზრუნველყოფს საერთო კრების რჩეული ან/და საერთო კრების მიერ უფლებამოსილი პირი.

3. პეტიცია იწერება და შეიტანება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე. პეტიციის სახით შეიძლება წარდგენილ იქნეს:

ა) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი;

ბ) მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითადი პრინციპები ან კონკრეტული წინადადებები;

გ) მუნიციპალიტეტისთვის ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნა.

4. პეტიცია უნდა შეიცავდეს:

ა) შესაბამისი განცხადების ტექსტს;

ბ) პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის/მომხსენებლების (არაუმეტეს 3 პირისა) სახელს, გვარს, მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს (არსებობის შემთხვევაში) და საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;

გ) პეტიციის წარდგენის თარიღს;

დ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიას;

ე) ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს, ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითად პრინციპებს ან კონკრეტულ წინადადებებს;

ვ) ამ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – კონკრეტულად ჩამოყალიბებულ მოთხოვნას და შესაბამის დასაბუთებას.

5. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლის სახელს, გვარს, დაბადების თარიღს (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირად ნომერს, რეგისტრაციის ადგილს და ხელმოწერას.

6. პეტიციას არეგისტრირებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი. იგი უზრუნველყოფს პეტიციის გამოქვეყნებას ან/და საჯაროდ გამოცხადებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე და 57-ე მუხლების შესაბამისად ან/და მის პროაქტიულად გამოქვეყნებას.

7. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებელს/მომხსენებლებს პეტიციის რეგისტრაციის მოწმობა ეძლევა/ეძლევათ მისი რეგისტრაციაში გატარების შესახებ მიმართვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. რეგისტრაციაში გატარებაზე უარი დასაშვებია, თუ დარღვეულია ამ კანონის მოთხოვნები ან/და პეტიციით გათვალისწინებული საკითხის გადაწყვეტა არ განეკუთვნება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას.

8. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებელს/მომხსენებლებს უფლება აქვს/აქვთ, რეგისტრაციაში გატარებაზე უარი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაასაჩივროს/გაასაჩივრონ სასამართლოში.

9. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პეტიციას მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე რეგლამენტით დადგენილი წესით, მისი დადგენილი წესით წარდგენიდან 1 თვის ვადაში.

10. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პეტიცია მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით, მისი რეგისტრაციიდან 7 დღის ვადაში, შესასწავლად გადაეცემა მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ჯგუფის შექმნის წინადადებით, ან აღნიშნული პეტიცია უფლებამოსილების შესაბამისად, განსახილველად ეგზავნება მუნიციპალიტეტის მერს. მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ პეტიციის გადაგზავნიდან 1 თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პეტიციის შესასწავლად მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ ან პეტიციას უგზავნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას.

11. მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია ან სამუშაო ჯგუფი პეტიციას, ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული წესით, მიღებიდან 15 დღის ვადაში განიხილავს და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) პეტიციის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადების მიზანშეწონილად მიჩნევის თაობაზე;

ბ) ამ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პეტიციის შესწავლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად წარდგენის თაობაზე;

გ) პეტიციის განხილვის მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე.

12. ამ მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები მიღებიდან 5 დღის ვადაში უნდა ეცნობოს პეტიციის წარმდგენ სუბიექტს.

13. ამ მუხლის მე-11 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განსახილველად წარედგინება შესაბამისი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი. მუნიციპალიტეტის საკრებულო შესაბამისი დადგენილების პროექტს განიხილავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე რეგლამენტით დადგენილი წესით.

14. ამ მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში მზადდება პეტიციის შესახებ დასკვნა და პეტიცია დასკვნასთან ერთად განსახილველად წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას. მუნიციპალიტეტის საკრებულო პეტიციასთან დაკავშირებით შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს 1 თვის ვადაში.

15. ამ მუხლის მე-11 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღებიდან 15 დღის ვადაში წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს. მუნიციპალიტეტის საკრებულო შესაბამის ინფორმაციას ცნობად იღებს, ან არ ეთანხმება მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის ან სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებას და იღებს სხვა, შესაბამის გადაწყვეტილებას.

16. ამ მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტებით განსაზღვრული ვადები მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით შეიძლება 1 თვით გაგრძელდეს.

17. მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია განიხილოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ უფლებამოსილების შესაბამისად გადაგზავნილი პეტიცია და განხილვის შედეგების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს და პეტიციის წარმდგენ სუბიექტს აცნობოს პეტიციის განსახილველად მიღებიდან 1 თვის ვადაში. ეს ვადა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს თანხმობით შეიძლება 1 თვით გაგრძელდეს.

18. მუნიციპალიტეტის საკრებულოს/საკრებულოს კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომაზე პეტიციას წარადგენს/წარადგენენ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს/საკრებულოს კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომაში ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 87-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს/მონაწილეობენ პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებელი/მომხსენებლები.

19. ამ მუხლის მე-17 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის მერს მოსთხოვოს პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ანგარიშის ან/და პეტიციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე პირადად წარდგენა.

20. პეტიციის განხილვის შემდეგ მუნიციპალიტეტის საკრებულო შესაბამის გადაწყვეტილებას მიღებიდან 10 დღის ვადაში აცნობებს პეტიციის წარმდგენ სუბიექტს, გარდა ამ მუხლის 21-ე პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

21. თუ პეტიცია საერთო კრების მიერ არის წარდგენილი, პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ორგანოების შესაბამისმა მოსამსახურებმა საერთო კრებას უნდა წარუდგინონ უშუალოდ, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში ან/და უნდა წარუდგინონ საერთო კრების რჩეულს, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

22. მუნიციპალიტეტის არანაკლებ 3-კაციან ჯგუფს (3 ამომრჩეველს) უფლება აქვს მიმართოს საკრებულოს აპარატს განცხადებით პეტიციით ინიცირების პროცედურის დაწყების შესახებ.

23. საკრებულოს აპარატი დაუყოვნებლივ რეგისტრაციაში ატარებს შემოტანილ განცხადებას და განცხადების შემომტან პირს გადასცემს ხელმოწერების შეგროვებისათვის პეტიციის მხარდამჭერთა სიის ბლანკებს.

24. მხარდამჭერთა სიის ბლანკში მითითებული უნდა იყოს თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩევლის:

ა) სახელი და გვარი;

ბ) დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);

გ) პირადი ნომერი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) მიხედვით;

დ) რეგისტრაციის ადგილი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით;

ე) ხელმოწერის თარიღი;

ვ) ხელმოწერა.

25. იმ შემთხვევაში თუ პეტიციის წარდგენის ინიციატორია დასახლების საერთო კრება მაშინ პეტიციის ინიცირების შესახებ წინასწარი განცხადების წარდგენა არ არის საჭირო, ხოლო წარდგენილი პეტიცია დადასტურებულ უნდა იყოს საერთო კრების რჩეულის (ან მინდობილი პირის) და საერთო კრების წევრთა არანაკლებ 2/3 ამომრჩევლის ხელმოწერით. ოქმი უნდა შეიცავდეს მასზე ხელმომწერი პირების შესახებ ამ მუხლის 25-ე პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებს.

26. ამომრჩეველთა არანაკლებ 1 %-ის მიერ წარსადგენი ხელმოწერების შეგროვებას უზრუნველყოფს პასუხისმგებელი პირი (საინიციატივო ჯგუფის წევრი). ბლანკში მითითებული უნდა იყოს ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის (საინიციატივო ჯგუფის წევრის) სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, რეგისტრაციის ადგილი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით), ხელმოწერით დადასტურების თარიღი და ხელმოწერა, აგრეთვე საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.

27. ამომრჩეველთა არანაკლებ 1 %-ის მიერ წარსადგენი პეტიციის ინიციატორთა ჯგუფი ვალდებულია მხარდამჭერთა ბლანკების გაცემიდან 30 დღის ვადაში შეაგროვონ თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0,5%-ის ხელმოწერები და ჩააბარონ საკრებულოს აპარატს, წინააღმდეგ შემთხვევაში პეტიციას არ გააჩანია იურიდიული ძალა და იგი არ ექვემდებარება შემდგომ განხილავს.

28. ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ის მიერ წარმოდგენილ პეტიციას საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირი რეგისტრაციაში ატარებს და არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, არათანამიმდევრობით ამოწმებს მხარდამჭერთა ხელმოწერების კანონით დადგენილი რაოდენობის 20 პროცენტის ნამდვილობას. თუ

გაბათილდა მისი არანაკლებ 10 პროცენტი, იმავე წესით დამატებით ამოწმებს მხარდამჭერთა ხელმოწერების იმავე რაოდენობას. მისი არანაკლებ 10 პროცენტის გაბათილების შემთხვევაში მხარდამჭერთა სიის გაბათილებული ნაწილი უბრუნდება პეტიციის ინიციატორს და ეძლევა 2 დღის ვადა ხარვეზების შესავსებად. პეტიციის ინიციატორთა მიერ წარმოდგენილ მხარდამჭერთა სიის შესწორებულ ნაწილს დანარჩენ სიასთან ერთად კვლავ ამოწმებს საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირი ზემოაღნიშნული წესით. თუ იმავე წესით შემოწმებული მხარდამჭერთა ხელმოწერების დადგენილ რაოდენობაზე მეტი კვლავ გაბათილდა, მხარდამჭერთა სია მთლიანად ბათილდება და პეტიციის ინიციატორს უარი ეთქმება ინიცირებაზე.

29. მხარდამჭერთა სიაში ამომრჩევლის ხელმოწერა ბათილად მიიჩნევა, თუ:

- ა) მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული სახელი და გვარი;
- ბ) მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული დაბადების თარიღი (წელი, თვე და რიცხვი) ან მითითებული თარიღის მიხედვით ამომრჩევლის ასაკი 18 წელზე ნაკლებია;
- გ) ხელმოწერის თარიღი მითითებული არ არის ან არ ემთხვევა ამომრჩეველთა სიის შედგენის ვადას;
- დ) ხელმოწერი არ არის თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული ამომრჩეველი;
- ე) არასრულად ან არასწორად არის მითითებული პირადი ნომერი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის მიხედვით).

30. ბათილია ყველა ხელმოწერა, შესრულებული იმ ბლანკზე, რომელიც დადასტურებული არ არის ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ დადგენილი წესით, ან რომელიც არის საკრებულოს აპარატის ბეჭდით დამოწმებული.

31. პეტიციის ფორმა მტკიცდება საკრებულოს განკარგულებით. პეტიციის ფორმა გაცემამდე დამოწმებული უნდა იყოს საკრებულოს აპარატის ბეჭდით.“

2. რეგლამენტის 117¹-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მომხსენებელი ვალდებულია, ამ რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ტექსტი განათავსოს აპლიკაციაში, ქართული Sylfaen შრიფტით და აპლიკაციაში დოკუმენტების ატვირთვის გზით, თან დაურთოს ამ რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტები.“

3. რეგლამენტის 117¹-ე მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. პეტიციის ტექსტზე შესაბამისობაზე მოქმედ კანონმდებლობასთან და 117-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებთან , ასევე, პეტიციის საკრებულოში გადაგზავნამდე, ამომრჩევლების მიერ მათი მონაცემების სრულად შეყვანით ელექტრონულად განხორციელებული ხელმოწერების რაოდენობის 117-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ მინიმალურ რაოდენობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომხსენებელი.“

4. რეგლამენტის 117¹-ე მუხლის მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. ამ რეგლამენტის 117-ე მუხლის 28-ე პუნქტით დადგენილი წესით პეტიციის რეგისტრაციის შემდეგ საკრებულოს აპარატი პეტიციის რეგისტრაციის მოწმობას ან პეტიციის რეგისტრაციაზე უარს უგზავნის მომხსენებლებს და აღნიშნულს განათავსებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

შუქრი თურმანიძე

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია მოქმედი ნორმატიული აქტის სამართლებრივი საფუძველის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტში - „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში სათანადო ცვლილების განხორციელება, რათა პროცედურულად მოწესრიგდეს რეგლამენტის 117-ე და 117¹-ე მუხლებში პეტიციებთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხი.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის

საფუძველზე განახორციელოს შესაბამისი ცვლილება, რის საფუძველზედაც წარმოდგენილი ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის (დადგენილება) 117-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით შემდეგნაირად, კერძოდ:

„მუხლი 117. პეტიცია

1. პეტიციის წარდგენის უფლება აქვთ შემდეგ სუბიექტებს:

- ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს;
- ბ) დასახლების საერთო კრებას.

2. საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, საერთო კრების სახელით პეტიციის წარდგენას უზრუნველყოფს საერთო კრების რჩეული ან/და საერთო კრების მიერ უფლებამოსილი პირი.

3. პეტიცია იწერება და შეიტანება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე. პეტიციის სახით შეიძლება წარდგენილ იქნეს:

ა) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი;

ბ) მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითადი პრინციპები ან კონკრეტული წინადადებები;

გ) მუნიციპალიტეტისთვის ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნა.

4. პეტიცია უნდა შეიცავდეს:

ა) შესაბამისი განცხადების ტექსტს;

ბ) პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის/მომხსენებლების (არაუმეტეს 3 პირისა) სახელს, გვარს, მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს (არსებობის შემთხვევაში) და საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;

გ) პეტიციის წარდგენის თარიღს;

დ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიას;

ე) ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს, ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითად პრინციპებს ან კონკრეტულ წინადადებებს;

ვ) ამ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – კონკრეტულად ჩამოყალიბებულ მოთხოვნას და შესაბამის დასაბუთებას.

5. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლის სახელს, გვარს, დაბადების თარიღს (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირად ნომერს, რეგისტრაციის ადგილს და ხელმოწერას.

6. პეტიციას არეგისტრირებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი. იგი უზრუნველყოფს პეტიციის გამოქვეყნებას ან/და საჯაროდ გამოცხადებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე და 57-ე მუხლების შესაბამისად ან/და მის პროაქტიულად გამოქვეყნებას.

7. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებელს/მომხსენებლებს პეტიციის რეგისტრაციის მოწმობა ეძლევა/ეძლევათ მისი რეგისტრაციაში გატარების შესახებ მიმართვიდან

3 სამუშაო დღის ვადაში. რეგისტრაციაში გატარებაზე უარი დასაშვებია, თუ დარღვეულია ამ კანონის მოთხოვნები ან/და პეტიციით გათვალისწინებული საკითხის გადაწყვეტა არ განეკუთვნება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას.

8. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებელს/მომხსენებლებს უფლება აქვს/აქვთ, რეგისტრაციაში გატარებაზე უარი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაასაჩივროს/გაასაჩივრონ სასამართლოში.

9. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პეტიციას მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე რეგლამენტით დადგენილი წესით, მისი დადგენილი წესით წარდგენიდან 1 თვის ვადაში.

10. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პეტიცია მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით, მისი რეგისტრაციიდან 7 დღის ვადაში, შესასწავლად გადაეცემა მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ჯგუფის შექმნის წინადადებით, ან აღნიშნული პეტიცია უფლებამოსილების შესაბამისად, განსახილველად ეგზავნება მუნიციპალიტეტის მერს. მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ პეტიციის გადაგზავნიდან 1 თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პეტიციის შესასწავლად მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ ან პეტიციას უგზავნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას.

11. მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია ან სამუშაო ჯგუფი პეტიციას, ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული წესით, მიღებიდან 15 დღის ვადაში განიხილავს და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) პეტიციის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადების მიზანშეწონილად მიჩნევის თაობაზე;

ბ) ამ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პეტიციის შესწავლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად წარდგენის თაობაზე;

გ) პეტიციის განხილვის მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე.

12. ამ მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები მიღებიდან 5 დღის ვადაში უნდა ეცნობოს პეტიციის წარმდგენ სუბიექტს.

13. ამ მუხლის მე-11 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განსახილველად წარედგინება შესაბამისი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი. მუნიციპალიტეტის საკრებულო შესაბამისი დადგენილების პროექტს განიხილავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე რეგლამენტით დადგენილი წესით.

14. ამ მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში მზადდება პეტიციის შესახებ დასკვნა და პეტიცია დასკვნასთან ერთად განსახილველად წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას. მუნიციპალიტეტის საკრებულო პეტიციასთან დაკავშირებით შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს 1 თვის ვადაში.

15. ამ მუხლის მე-11 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღებიდან 15 დღის ვადაში წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს. მუნიციპალიტეტის საკრებულო შესაბამის ინფორმაციას ცნობად იღებს, ან არ ეთანხმება მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის ან სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებას და იღებს სხვა, შესაბამის გადაწყვეტილებას.

16. ამ მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტებით განსაზღვრული ვადები მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით შეიძლება 1 თვით გაგრძელდეს.

17. მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია განიხილოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ უფლებამოსილების შესაბამისად გადაგზავნილი პეტიცია და განხილვის შედეგების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს და პეტიციის წარმდგენ სუბიექტს აცნობოს პეტიციის განსახილველად მიღებიდან 1 თვის ვადაში. ეს ვადა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს თანხმობით შეიძლება 1 თვით გაგრძელდეს.

18. მუნიციპალიტეტის საკრებულოს/საკრებულოს კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომაზე პეტიციას წარადგენს/წარადგენენ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს/საკრებულოს კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომაში ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 87-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს/მონაწილეობენ პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებელი/მომხსენებლები.

19. ამ მუხლის მე-17 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის მერს მოსთხოვოს პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ანგარიშის ან/და პეტიციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე პირადად წარდგენა.

20. პეტიციის განხილვის შემდეგ მუნიციპალიტეტის საკრებულო შესაბამის გადაწყვეტილებას მიღებიდან 10 დღის ვადაში აცნობებს პეტიციის წარმდგენ სუბიექტს, გარდა ამ მუხლის 21-ე პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

21. თუ პეტიცია საერთო კრების მიერ არის წარდგენილი, პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ორგანოების შესაბამისმა მოსამსახურებმა საერთო კრებას უნდა წარუდგინონ უშუალოდ, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში ან/და უნდა წარუდგინონ საერთო კრების რჩეულს, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

22. მუნიციპალიტეტის არანაკლებ 3-კაციან ჯგუფს (3 ამომრჩევლს) უფლება აქვს მიმართოს საკრებულოს აპარატს განცხადებით პეტიციით ინიცირების პროცედურის დაწყების შესახებ.

23. საკრებულოს აპარატი დაუყოვნებლივ რეგისტრაციაში ატარებს შემოტანილ განცხადებას და განცხადების შემომტან პირს გადასცემს ხელმოწერების შეგროვებისათვის პეტიციის მხარდამჭერთა სიის ბლანკებს.

24. მხარდამჭერთა სიის ბლანკში მითითებული უნდა იყოს თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩევლის:

- ა) სახელი და გვარი;
- ბ) დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);
- გ) პირადი ნომერი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) მიხედვით;
- დ) რეგისტრაციის ადგილი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით;
- ე) ხელმოწერის თარიღი;
- ვ) ხელმოწერა.

25. იმ შემთხვევაში თუ პეტიციის წარდგენის ინიციატორია დასახლების საერთო კრება მაშინ პეტიციის ინიცირების შესახებ წინასწარი განცხადების წარდგენა არ არის საჭირო, ხოლო წარდგენილი პეტიცია დადასტურებულ უნდა იყოს საერთო კრების რჩეულის (ან მინდობილი პირის) და საერთო კრების წევრთა არანაკლებ 2/3 ამომრჩევლის ხელმოწერით. ოქმი უნდა შეიცავდეს მასზე ხელმომწერი პირების შესახებ ამ მუხლის 25-ე პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებს.

26. ამომრჩეველთა არანაკლებ 1 %-ის მიერ წარსადგენი ხელმოწერების შეგროვებას უზრუნველყოფს პასუხისმგებელი პირი (საინიციატივო ჯგუფის წევრი). ბლანკში მითითებული უნდა იყოს ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის (საინიციატივო ჯგუფის წევრის) სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, რეგისტრაციის ადგილი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით), ხელმოწერით დადასტურების თარიღი და ხელმოწერა, აგრეთვე საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.

27. ამომრჩეველთა არანაკლებ 1 %-ის მიერ წარსადგენი პეტიციის ინიციატორთა ჯგუფი ვალდებულია მხარდამჭერთა ბლანკების გაცემიდან 30 დღის ვადაში შეაგროვონ თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0,5%-ის ხელმოწერები და ჩააბარონ საკრებულოს აპარატს, წინააღმდეგ შემთხვევაში პეტიციას არ გააჩანია იურიდიული ძალა და იგი არ ექვემდებარება შემდგომ განხილავს.

28. ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ის მიერ წარმოდგენილ პეტიციას საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირი რეგისტრაციაში ატარებს და არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, არათანამიმდევრობით ამოწმებს მხარდამჭერთა ხელმოწერების კანონით დადგენილი რაოდენობის 20 პროცენტის ნამდვილობას. თუ გაბათილდა მისი არანაკლებ 10 პროცენტი, იმავე წესით დამატებით ამოწმებს მხარდამჭერთა ხელმოწერების იმავე რაოდენობას. მისი არანაკლებ 10 პროცენტის გაბათილების შემთხვევაში მხარდამჭერთა სიის გაბათილებული ნაწილი უბრუნდება პეტიციის ინიციატორს და ეძლევა 2 დღის ვადა ხარვეზების შესავსებად. პეტიციის ინიციატორთა მიერ წარმოდგენილ მხარდამჭერთა სიის შესწორებულ ნაწილს დანარჩენ სიასთან ერთად კვლავ ამოწმებს საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირი ზემოაღნიშნული წესით. თუ იმავე წესით შემოწმებული მხარდამჭერთა ხელმოწერების დადგენილ რაოდენობაზე მეტი კვლავ გაბათილდა, მხარდამჭერთა სია მთლიანად ბათილდება და პეტიციის ინიციატორს უარი ეთქმება ინიცირებაზე.

29. მხარდამჭერთა სიაში ამომრჩევლის ხელმოწერა ბათილად მიიჩნევა, თუ:

- ა) მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული სახელი და გვარი;
- ბ) მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული დაბადების თარიღი (წელი, თვე და რიცხვი) ან მითითებული თარიღის მიხედვით ამომრჩევლის ასაკი 18 წელზე ნაკლებია;
- გ) ხელმოწერის თარიღი მითითებული არ არის ან არ ემთხვევა ამომრჩეველთა სიის შედგენის ვადას;
- დ) ხელმოწერი არ არის თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული ამომრჩეველი;
- ე) არასრულად ან არასწორად არის მითითებული პირადი ნომერი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის მიხედვით).

30. ბათილია ყველა ხელმოწერა, შესრულებული იმ ბლანკზე, რომელიც დადასტურებული არ არის ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ დადგენილი წესით, ან რომელიც არის საკრებულოს აპარატის ბეჭდით დამოწმებული.

31. პეტიციის ფორმა მტკიცდება საკრებულოს განკარგულებით. პეტიციის ფორმა გაცემამდე დამოწმებული უნდა იყოს საკრებულოს აპარატის ბეჭდით.“

დადგენილების 117-ე მუხლში ასახულმა ცვლილებამ გამოიწვია 117-ე მუხლის მე-3, მე-12 და მე-14 პუნქტების ცვლილება, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით, კერძოდ:

რეგლამენტის 117¹-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მომხსენებელი ვალდებულია, ამ რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ტექსტი განათავსოს აპლიკაციაში, ქართული Sylfaen შრიფტით და აპლიკაციაში დოკუმენტების ატვირთვის გზით, თან დაურთოს ამ რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტები.“

რეგლამენტის 117¹-ე მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. პეტიციის ტექსტზე შესაბამისობაზე მოქმედ კანონმდებლობასთან და 117-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებთან , ასევე, პეტიციის საკრებულოში გადაგზავნამდე, ამომრჩევლების მიერ მათი მონაცემების სრულად შეყვანით ელექტრონულად განხორციელებული ხელმოწერების რაოდენობის 117-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ მინიმალურ რაოდენობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომხსენებელი.“

რეგლამენტის 117¹-ე მუხლის მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. ამ რეგლამენტის 117-ე მუხლის 28-ე პუნქტით დადგენილი წესით პეტიციის რეგისტრაციის შემდეგ საკრებულოს აპარატი პეტიციის რეგისტრაციის მოწმობას ან პეტიციის რეგისტრაციაზე უარს უგზავნის მომხსენებლებს და აღნიშნულს განათავსებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე.“

დადგენილების მეორე მუხლი აწესებს მისი ძალაში შესვლის საკითხებს შემდეგი სახით:
„დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე“.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალამე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - შუქრი თურმანიძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
2018 წლის -- სექტემბერი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის,
ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის 2018 წლის მიზნობრივი პროგრამების
დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წყ ვ ი ტ ა**:

1. დამტკიცდეს:

ა) „2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი №1-სა.

ბ) „2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში კულტურული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი №2-სა.

გ) „2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი №3-სა.

დ) „2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში შპს საფეხბურთო კლუბ ბეთლემის მხარდამჭერი ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი №4-სა.

2. დანართი №1, №2, №3 და №4 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის 2018 წლის მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 აგვისტოს №84 განკარგულება.

4. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

5. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

მიზნობრივი პროგრამა

1. პროგრამის სახელწოდება.

2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი

01 იანვარი 2018 წელი

31 დეკემბერი 2018 წელი

3. ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 42 300 (ორმოცდაორიათასსამასი) ლარს.

I კვარტალი - 10 000

II კვარტალი - 12 000

III კვარტალი - 9 900

IV კვარტალი - 10 400

4. ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროები.

ძირითადი - ქედის მუნიციპალიტეტი 42 300 (ორმოცდაორიათასსამასი) ლარს.

5. ქვეპროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო.

ქედის მუნიციპალიტეტის მერია

6. ფინანსური ანგარიშსწორების განხორციელების წესი.

1) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

2) წერილობითი მოთხოვნა.

3) მიღება-ჩაბარების აქტი.

4) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო (საანგარიშსწორებო) დოკუმენტაცია.

7. პროგრამის აღწერა, მისი აქტუალობის დასაბუთება და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზე დგება პროგრამა

8. ქვეპროგრამის მიზნები.

ქვეპროგრამის მიზანია სპორტული ღონისძიებების 2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ჩატარება. ადგილობრივ სპორტსმენტა დაფინანსება საქართველოსა და ქვეყნის გარეთ სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

9. ქვეპროგრამის შედეგი: სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზება, ახალგაზრდების დაინტერესება სპორტით, ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენა და მათი ხელშეწყობა.

10. ქვეპროგრამის ხარჯები.

| | |
|---|----------------------------|
| პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასახელება | ღონისძიებების ხარჯი (ლარი) |
| სპორტული | 42300 |
| სულ | 42300 |

11. ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს.

42 300 (ორმოცდაორიათასამასი) ლარს.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების

2018 წლის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამის სპორტული ღონისძიებები

| N | სპორტული ღონისძიებების დასახელება | ჩატარების | | თანხა |
|---|---|-------------------|------------------------|-------|
| | | თარიღი | ადგილი | |
| 1 | გაუთვალისწინებელი ღონისძიებები | | | 1645 |
| | ჯამი | | | 1645 |
| მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ღონისძიებები | | | | |
| 2 | ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სპორტული თამაშები | თებერვალი-მაისი | ქედა | 2173 |
| 3 | ფეხბურთი. არჩილ ფარტენაძის სახელობის ტურნირი | წლის განმავლობაში | ქედა | 1468 |
| 4 | ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის გუნდების მონაწილეობა „სასკოლო სპორტულ ოლიმპიადა 2018“(მუნიციპალური, რეგიონალური და ზონალურ ტურნირებში, ღონისძიებების ორგანიზებისათვის საჭირო ინვენტარის შეძენა) | წლის განმავლობაში | კალენდარის შესაბამისად | 4970 |
| | ჯამი | | | 8611 |
| თავისუფალი ჭიდაობა | | | | |
| 5 | თავისუფალი ჭიდაობა. ქოლგაიანი დელფინი | მარტი-აპრილი | ბათუმი | 467 |
| 6 | თავისუფალი ჭიდაობა. კობა კაკალაძის სახელობის ტურნირი | ივნისი | კალენდარის შესაბამისად | 467 |
| 7 | თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს პირველობა | წლის განმავლობაში | კალენდარის შესაბამისად | 1523 |

| | | | | |
|-------------------------|---|----------------------|------------------------|-------------|
| 8 | ლ. ხაბელოვის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკთა შორის | წლის განმავლობაში | კალენდარის შესაბამისად | 1950 |
| 9 | თავისუფალი ჭიდაობა. როსტომ მელაშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი | წლის განმავლობაში | კალენდარის შესაბამისად | 467 |
| 10 | დ. კვინიკაძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი | წლის განმავლობაში | კალენდარის შესაბამისად | 1568 |
| 11 | შოთა ლომიძის სახელობის ტურნირი | წლის განმავლობაში | კალენდარის შესაბამისად | 1608 |
| ჯამი | | | | 8050 |
| ჭადრაკი | | | | |
| 12 | ჭადრაკი აჭარის პირველობა (10, 14,20) წლამდე ასაკი | წლის განმავლობაში | ბათუმი | 1847 |
| 13 | ჭადრაკი აჭარის პირველობა (8,12,16) წლამდე ასაკი | წლის განმავლობაში | ბათუმი | 1847 |
| 14 | ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალი „ბათუმი 2018“ | წლის განმავლობაში | ბათუმი | 1570 |
| 15 | ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალი „შავი ზღვის დელფინი 2018“ | წლის განმავლობაში | ბათუმი | 1570 |
| ჯამი | | | | 6834 |
| კალათბურთი | | | | |
| 16 | ქედის კალათბურთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში | წლის განმავლობაში | კალენდარის შესაბამისად | 800 |
| ჯამი | | | | 800 |
| ფრენბურთი | | | | |
| 17 | ქედის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში | წლის განმავლობაში | კალენდარის შესაბამისად | 800 |
| ჯამი | | | | 800 |
| მაგიდის ჩოგბურთი | | | | |
| 18 | მაგიდის ჩოგბურთი, აჭარის ჩემპიონატი | მარტი-აპრილი | ქედა | 1623 |
| 19 | მაგიდის ჩოგბურთი, ამხანაგური შეხვედრაქ. ბათუმის სასპორტო სკოლის გუნდთან | მაისი-ივნისი | ბათუმი | 221 |
| 20 | მაგიდის ჩოგბურთი, ამხანაგური შეხვედრა ხულოს სასპორტო სკოლის გუნდთან | სექტემბერი-ოქტომბერი | ხულო | 260 |

| | | | | |
|------------------------|---|-------------------|------------------------|-------|
| 21 | თორნიკე ღოღობერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი | წლის განმავლობაში | კალენდარის შესაბამისად | 954 |
| 22 | მაგიდის ჩოგბურთი. აბაში ღია პირველობა | წლის განმავლობაში | კალენდარის შესაბამისად | 1162 |
| 23 | ამბროლაურის ღია პირველობა მაგიდის ჩოგბურთში | წლის განმავლობაში | კალენდარის შესაბამისად | 1382 |
| | | | | 5602 |
| ქართული ჭიდაობა | | | | |
| 24 | ქართული ჭიდაობა, აჭარის პ/პირველობა 2001-2003წწ. დაბადებულ სპორტსმენებს შორის | წლის განმავლობაში | კალენდარის შესაბამისად | 230 |
| 25 | ქართული ჭიდაობა, აჭარის პ/პირველობა 2004-2005 წწ. დაბადებულ სპორტსმენებს შორის | წლის განმავლობაში | კალენდარის შესაბამისად | 230 |
| 26 | ქართული ჭიდაობა, ვლადიმერ მახარაძის სახელობის ტურნირი | წლის განმავლობაში | კალენდარის შესაბამისად | 212 |
| 27 | ქართული ჭიდაობა, დავით მამულაძის ხსოვნის ტურნირი | წლის განმავლობაში | კალენდარის შესაბამისად | 250 |
| 28 | ვასილ გაროზაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი | წლის განმავლობაში | კალენდარის შესაბამისად | 494 |
| 29 | ნოშრევან დავითაძის და გელა ზოიძის სახელობის ტურნირი | წლის განმავლობაში | კალენდარის შესაბამისად | 218 |
| ჯამი | | | | 1634 |
| ფეხბურთი | | | | |
| 30 | ფეხბურთი. ა. (ა) ი. პ ქედის სასპორტო სკოლის ფეხბურთელთა სხვადასხვა ასაკობრივი გუნდების მონაწილეობა სპორტულ ღონისძიებებში. | წლის განმავლობაში | კალენდარის შესაბამისად | 4809 |
| 31 | აჭარის ა/რ პირველობა მინი ფეხბურთში ქალაქისა და მუნიციპალიტეტის გუნდებს შორის | წლის განმავლობაში | კალენდარის შესაბამისად | 1450 |
| 32 | „მოყვარულთა თასის 2018“-ის გათამაშებაში ქედის მუნიციპალიტეტის გუნდის მონაწილეობა | წლის განმავლობაში | კალენდარის შესაბამისად | 2065 |
| ჯამი | | | | 8324 |
| სულ ჯამი | | | | 42300 |

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით (N60 29.06.2018,) დამტკიცებული იქნა ქედის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სპორტული (42300 ლარი) ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა.

სპორტული ღონისძიებების მომსახურების შესყიდვებისას მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 773 ლარი (იხ დანართი 2).

ქედის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიგვაჩნია მიღებული ეკონომიიდან თანხა დაემატოს არსებულ ღონისძიებას „ფეხბურთი. ა. (ა) ი. პ ქედის სასპორტო სკოლის ფეხბურთელთა სხვადასხვა ასაკობრივი გუნდების მონაწილეობა სპორტულ ღონისძიებებში, ღონისძიებაზე თანხის დამატება მოხდეს მიღებული ეკონომიიდან 773 ლარი და პროგრამის პირველი პუქტიდან „გაუთვალისწინებელი ღონისძიებები“-ს 655 ლარი (გაუთვალისწინებელი ღონისძიებები განისაზღვროს 1645 ლარით), სულ ჯამში $773+655=1428$ ლარი და ღონისძიება განისაზღვროს 4809 ლარით.

2018 წლის სპორტული ღონისძიების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა განისაზღვროს 42300 (ორმოცდაორიათასსამასი)ლარით.იხ.დანართი 1.

| N | სპორტული ღონისძიებების დასახელება | ბეგმიური | სახელმწიფო ლერეზული | ფაქტიურ ი ხარჯი | სხვაობა (3-4) | სხვაობა (4-5) | ეკონომია (6+7) | შენიშვნა (ღონისძიებების ჩატარების თარიღი) | (ხელშეკრომერი) |
|----|---|----------|------------------------|--------------------|------------------|------------------|-------------------|--|--|
| N | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 1 | გაუთვალისწინებლი ღონისძიებები | 2300 | | | | | | | |
| 2 | ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სპორტული თამაშები | 2173 | | | | | | | |
| 3 | ფეხბურთი. არჩილ ფარტენაძის სახელობის ტურნირი | 1468 | | | | | | | |
| 4 | ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის გუნდების მონაწილეობა „სასკოლო სპორტულ ოლიმპიადა 2018“ (მუნიციპალური, რეგიონალური და ზონალური ტურნირებში, ღონისძიებების ორგანიზებისათვის საჭირო ინვენტარის შეძენა) | 4970 | | | | | | | |
| 5 | თავისუფალი ჭიდაობა. ქოლგაიანი დელფინი | 467 | | | | | | | |
| 6 | თავისუფალი ჭიდაობა. კობა კაკალაძის სახელობის ტურნირი | 467 | | | | | | | |
| 7 | თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს პირველობა | 1523 | | | | | | | |
| 8 | გზინჩეგაშვილის სახელობის ტურნირი | 1950 | | | | | | | აღნიშნულ ღონისძიებებზე არ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი ვინაიდან, საქართველოს თავისუფალი ჭიდაობის ფედერაციამ შევალა ღონისძიების ჩატარების თარიღი (ღონისძიება დამტკიცებული იქნა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ N24 30 03 2018 წ.) |
| 9 | თავისუფალი ჭიდაობა. როსტომ მელაშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი | 467 | | | | | | | |
| 10 | დ. კვინიკაძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი | 1568 | | | | | | | |
| 11 | შოთა ლომიძის სახელობის ტურნირი | 1608 | | | | | | | |
| 12 | ჭადრაკი აჭარის პირველობა (10, 14,20) წლამდე ასაკი | 1847 | | | | | | | |
| 13 | ჭადრაკი აჭარის პირველობა (8,12,16) წლამდე ასაკი | 1847 | | | | | | | |
| 14 | ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალი „ბათუმი 2018“ | 1570 | | | | | | | |
| 15 | ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალი „მავი ზღვის დელფინი 2018“ | 1570 | | | | | | | |
| 16 | ქედის კალათბურთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში | 800 | | | | | | | |
| 17 | ქედის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში | 800 | | | | | | | |
| 18 | მაგიდის ჩოგბურთი, აჭარის ჩემპიონატი | 1623 | | | | | | | |
| 19 | მაგიდის ჩოგბურთი, ამხანაგური შეხვედრა ქ. ბათუმის სასპორტო სკოლის გუნდთან | 221 | | | | | | | |
| 20 | მაგიდის ჩოგბურთი, ამხანაგური შეხვედრა ხულოს სასპორტო სკოლის გუნდთან | 260 | | | | | | | |
| 21 | თორნიკე ლოლობერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი | 954 | | | | | | | |
| 22 | მაგიდის ჩოგბურთი. აბაში ღია პირველობა | 1300 | 1162 | | | | | 138 | |

| | | | | | | | | | |
|----|--|--------------|-------------|------|--|--|--|------------|--|
| 23 | ამბროლაურის დია პირველობა მაგიდის ჩოგბურთში | 1550 | 1382 | | | | | 168 | |
| 24 | ქართული ჭიდაობა, აჭარის პ/პირველობა 2001-2003წწ. დაბადებულ სპორტსმენებს შორის | 230 | | | | | | | |
| 25 | ქართული ჭიდაობა, აჭარის პ/პირველობა 2004-2005 წწ. დაბადებულ სპორტსმენებს შორის | 230 | | | | | | | |
| 26 | ქართული ჭიდაობა, ვლადიმერ მახარაძის სახელობის ტურნირი | 212 | | | | | | | |
| 27 | ქართული ჭიდაობა, დავით მამულაძის ხსოვნის ტურნირი | 250 | | | | | | | |
| 28 | ვასილ გაროზაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი | 494 | | | | | | | |
| 29 | ნომრევეან დავითაძის და გელა ზოიძის სახელობის ტურნირი | 250 | 218 | | | | | 32 | |
| 30 | ფეხბურთი. ა. (ა) ი. პ ქედის სასპორტო სკოლის ფეხბურთელთა სხვადასხვა ასაკობრივი გუნდების მონაწილეობა სპორტულ ღონისძიებებში . | 3381 | | | | | | | |
| 31 | აჭარის ა/რ პირველობა მინი ფეხბურთში ქალაქისა და მუნიციპალიტეტის გუნდებ შორის | 1550 | 1450 | | | | | 100 | |
| 32 | „მოყვარულთა თასი 2018“-ის გათამაშებაში ქედის მუნიციპალიტეტის გუნდის მონაწილეობა | 2400 | 2400 | 2065 | | | | 335 | |
| | სულ ჯამი | 42300 | 2762 | | | | | 773 | |

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

--- სექტემბერი 2018 წ.

დაბა ქედა

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთში მდებარე (ს/კ 21.01.37.341) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 6628.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე დამაგერებული 4564.39 კვ.მ. შენობა-ნაგებობების ფაქტიური მფლობელებისთვის საცხოვრებელ ბინებად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისათვის გასაგზავნი მიმართვის ტექსტის დამტკიცების შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისათვის გასაგზავნი ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართვის ტექსტი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთში მდებარე (ს/კ 21.01.37.341) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 6628.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე დამაგერებული 4564.39 კვ.მ. შენობა-ნაგებობების (ყოფილი საჯარო სკოლის საძინებელი კორპუსი (ინტერნატი)) ფაქტიური მფლობელებისთვის საცხოვრებელ ბინებად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

2. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

შუქრი თურმანიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთში მდებარე მახუნცეთის ყოფილი საჯარო სკოლის საძინებელი კორპუსი (ინტერნატი) (საკადასტრო კოდი №21.01.37.341) მფლობელებისთვის საცხოვრებელ ბინებად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულია ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთში (აწჰესის დასახლებაში) მდებარე მახუნცეთის საჯარო სკოლის ყოფილი საძინებელი კორპუსი (საკადასტრო კოდი №21.01.37.341), სადაც ოთხმოცდაათიანი წლებში განხორციელდა დაზარალებული და უსახლკაროდ დარჩენილი ადგილობრივი მოსახლეობის (30 ოჯახი) დროებით შესახლება და დღემდე ცხოვრობენ. აღნიშნულ შენობა-ნაგებობაში მცხოვრები ოჯახები (სულ 30 კომლი) მოითხოვს სათანადო დახმარების გაწევას, მათ მფლობელობა/სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართობების საკუთრებაში რეგისტრაციას. რის თაობაზეც მოსარგებლე პირებს გააჩნიათ „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის მუშაობის წესის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის მოსარგებლეთათვის საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 24 მარტის №8 დადგენილების №3 დანართის მე-4 მუხლით განსაზღვრული სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია. ზემოთ დასახელებული ქონება (მახუნცეთის საჯარო სკოლის ყოფილი საძინებელი კორპუსი - ინტერნატი) წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-სა და „კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ კანონიერი მოსარგებლეთათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერია სამართლებრივად მოკლებულია შესამღებლობას საცხოვრებელი ფართობები (ბინებად) მფლობელ/მოსარგებლე პირებს უსასყიდლოდ გადასცეს საკუთრებაში. სწორედ ამ გარემოების გამო მუნიციპალიტეტის მერიას არ აქვს უფლება მოსარგებლე პირებზე გასცეს შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, აქედან გამომდინარე ვერ ხერხდება მათ სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართობების საჯარო რეესტრში კერძო საკუთრებაში რეგისტრაცია.

ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარებისა და 30 ოჯახის საკითხის (საცხოვრებელი ფართობების საკუთრებაში გადაცემა) დადებითად გადაწყვეტის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის მუშაობის წესის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის მოსარგებლეთათვის საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 24 მარტის №8 დადგენილების შესაბამისად დაისვას საკითხი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

მთავრობის თავმჯდომარის წინაშე ზემოთ აღნიშნული ქონების (მახუნცეთის საჯარო სკოლის ყოფილი სამინებელი კორპუსი - ინტერნატი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, რათა შემდგომში, იქ მცხოვრებ პირებზე (ოჯახებზე), სიმბოლურ ფასად „ერთ“ ლარად მოხდეს საცხოვრებელი ფართობების (ბინების) საკუთრებაში გადაცემა. აღნიშნული პროცედურების განხორციელების შემდეგ საცხოვრებელი ფართობების (ბინის) მოსარგებლე პირებს მიეცემათ უფლება - სამართლებრივი საფუძველი ბინების მათ სახელზე საჯარო რეესტრში დაირეგისტრირონ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, გაგვიწიოთ სათანადო დახმარება წლების მანძილზე მოსახლეობისათვის მოუგვარებელი და სამართლებრივად მოუწესრიგებელი საკითხის (ბინების საკუთრებაში გადაცემა) გადაჭრაში, რითაც იქ მცხოვრებელი პირების (ოჯახების) მიერ დასმული საკითხი საბოლოოდ მოწესრიგდება და მოექცევა სამართლებრივ ჩარჩოებში.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

შუქრი თურმანიძე